სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სტიპენდიების გაცემის წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში (შემდგომში - კონსერვატორია) არსებული სტიპენდიების სახეებს, ოდენობას, გაცემის კრიტერიუმებსა და გაცემის წესს.

მუხლი 2. სტიპენდია

1. სტიპენდია არის ფულადი თანხა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე გაიცემა სტუდენტზე უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მიერ.

2. კონსერვატორიაში შეიძლება გაიცეს როგორც სახელმწიფო სტიპენდია, ასევე სტიპენდია იურიდიული (მ.შ. ფონდები) ან ფიზიკური პირების სახელით.

თავი II. სტიპენდიების სახეები და ოდენობა

მუხლი 3. სტიპენდიის სახეები და მოცულობები

კონსერვატორიაში ყოველთვიურად გაიცემა შემდეგი სახის სტიპენდიები:

1. სახელობითი სახელმწიფო სტიპენდიები - 180 ლარის ოდენობით;

2. სარეიტინგო სახელმწიფო სტიპენდია - 80, 60 ან 50 ლარის ოდენობით;

3. სტიპენდიები იურიდიული (მ. შ. ფონდები) და ფიზიკური პირებისაგან;

4. სტიპენდია კონსერვატორიის საკუთარი შემოსავლებიდან, მაქსიმალური ოდენობა: 225 ლარი;

5. „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში გასაცემი სტიპენდიები - 150 ლარის ოდენობით.

მუხლი 4. სახელობითი სახელმწიფო სტიპენდიები

1. კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საუკეთესო სტუდენტების წახალისების მიზნით, შესაბამისი სპეციალობების მიხედვით, კონსერვატორიაში გაიცემა ხუთი სახელობითი სტიპენდია, კერძოდ:

ა) ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო სტიპენდია - კლავიშიანი საკრავები;

ბ) ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო სტიპენდია - სოლო აკადემიური სიმღერა;

გ) ლეო შიუკაშვილის სახელობის სახელმწიფო სტიპენდია - საორკესტრო სიმებიანი საკრავები;

დ) ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სტიპენდია - ჩასაბერი და დასარტყამისაკრავები;

ე) ნიკო სულხანიშვილის სახელობის სახელმწიფო სტიპენდია - აკადემიური გუნდის დირიჟორობა.

2. კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საუკეთესო სტუდენტების წახალისების მიზნით, კონსერვატორიაში გაიცემა ორი სახელობითი სტიპენდია, კერძოდ:

ა) დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სახელმწიფო სტიპენდია - მუსიკის თეორიის, მუსიკის ისტორიის, ქართული ხალხური მუსიკისშემოქმედებისა და საეკლესიო მუსიკის მიმართულებებზე;

ბ) ანდრია ბალანჩივაძის სახელობის სახელმწიფო სტიპენდია - კომპოზიციის მიმართულებაზე.

მუხლი 5. სარეიტინგო სახელმწიფო სტიპენდიები

დგინდება სტუდენტის აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით. კონსერვატორიის სტუდენტთა წახალისების მიზნით, კონსერვატორიაში იმ წარჩინებულ სტუდენტებზე, რომელთაც წინა სემესტრში დააგროვეს არანაკლებ 25 კრედიტისა, გაიცემა სარეიტინგო სტიპენდიები, კერძოდ:

1. უმაღლესი რეიტინგის მქონე სტუდენტების სტიპენდია - იმ სტუდენტებს, რომელთაც სპეციალობების მიხედვით ყველაზე მაღალი აკადემიური მოსწრების რეიტინგი აქვთ (6 სტუდენტი საშემსრულებლო ფაკულტეტზე - თითო სტუდენტი თითო სპეციალობაზე და 1 სტუდენტი საბაკალავრო პროგრამაზე „ჯაზის ხელოვნება"; ასევე 3 სტუდენტი კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე - 1 სტუდენტი კომპოზიციის მიმართულებაზე, 1 სტუდენტი მუსიკის თეორიის, მუსიკის ისტორიის, ქართული ხალხური მუსიკის შემოქმედების, საეკლესიო მუსიკის მიმართულებებზე და 1 სტუდენტი საბაკალავრო პროგრამაზე ,,მუსიკა და დღევანდელობა"), შეიძლება მიეცეთ სტიპენდია 80 ლარის ოდენობით;

2. საუკეთესო სტუდენტის სტიპენდია - იმ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრების რეიტინგია 91-100 ქულა, შეიძლება მიეცეთ სტიპენდია 60 ლარის ოდენობით;

ძალიან კარგი სტუდენტის სტიპენდია - იმ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრების რეიტინგია 81 - 90 ქულა, შეიძლება მიეცეთ სტიპენდია 50 ლარის ოდენობით.

მუხლი 6. სტიპენდიები იურიდიული (მ. შ. ფონდები) ან ფიზიკური პირებისაგან.

კონსერვატორიის კონკრეტული სტუდენტის წახალისების მიზნით, იურიდულ (მ. შ. ფონდები) ან ფიზიკურ პირს შეუძლია კონსერვატორიის ნებისმიერ სტუდენტს დაუწესოს სტიპენდია. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები გათვალისწინებული უნდა იყოს სტიპენდიის მოცულობაში.

მუხლი 7. სტიპენდიები კონსერვატორიის საკუთარი შემოსავლებიდან

ერთიანი ეროვნული ან საერთო სამაგისტრო გამოცდებზე და შემოქმედებით ტურში საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტების წახალისების მიზნით, კონსერვატორიის საკუთარი შემოსავლებიდან შეიძლება გაიცეს სტიპენდია.

მუხლი 7[1]. „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში გასაცემი სტიპენდიები

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამით „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში სტიპენდია შეიძლება გაიცეს კონსერვატორიაში აკრედიტებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4%-ზე (სტუდენტთა ერთიანი რეიტინგის მიხედვით, მათი სპეციალობების მიუხედავად), წინამდებარე წესით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების საფუძველზე. ამ მიზნით რეიტინგის შედგენისას სტუდენტთა

სპეციალობები მხედველობაში არ მიიღება.

თავი III. სტიპენდიების გაცემის კრიტერიუმები

მუხლი 8. სახელობითი სახელმწიფო სტიპენდიების გაცემის წესი

1. საშემსრულებლო ფაკულტეტის სპეციალობებზე სახელობითი სტიპენდიები გაიცემა საანგარიშო სემესტრის წინა სემესტრში სტუდენტის აქტიური, წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობის გათვალისწინებით, კერძოდ:

ა) აუცილებელია სტუდენტს სპეციალობის თითოეულ დისციპლინაში ქონდეს მიღებული 96 ქულა და ზევით, ხოლო დანარჩენ საგნებში მისი საშუალო ქულა იყოს 81 და ზევით;

ბ) სპეციალობის დისციპლინებში უპირატესობა ენიჭება ძირითად სპეციალობას;

გ) ძირითად სპეციალობაში ერთნაირი ქულის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება შემდეგ აქტოვობებს: რესპუბლიკურ ან საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვება, ადგილობრივ ან საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა, სპეციალობის დისციპლინებში კონსერვატორიის მცირე ან დიდ დარბაზებში სოლო კონცერტების ჩატარება; ვოკალისტებისათვის სპექტაკლებში პირველი პარტიების შესრულება; აკადემიური გუნდის დირიჟორობის სტუდენტებისთვის ღია აკადემიურ კონცერტებსა და ფესტივალებში მონაწილეობა;

საშემსრულებლო ფაკულტეტზე სახელობითი სტიპენდიები ნაწილდება მიმართულებების მიხედვით, თითო სტიპენდია- ერთ სტუდენტზე .

2. კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის სპეციალობებზე სახელობითი სტიპენდიები გაიცემა საანგარიშო სემესტრის წინა სემესტრში სტუდენტის აქტიური, წარმატებული მოღვაწეობის გათვალისწინებით, კერძოდ:

ა) აუცილებელია სტუდენტის საშუალო ქულა სპეციალობის სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკში იყოს 96 და ზევით, ხოლო დანარჩენ საგნებში მისი საშუალო ქულა იყოს 81 და ზევით;

ბ) თანაბარი საშუალო ქულის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ძირითადი სპეციალობის ქულას;

გ) ძირითად სპეციალობაში ერთნაირი ქულის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება შემდეგ აქტოვობებს: მონაწილეობა კონცერტებში, კონკურსებში, კონფერენციებში, სხვადასხვა მუსიკალურ ფორუმში, ფოლკლორისტულ ექსპედიციებში და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ტიპის ღონისძიებებში; პრეზენტაციების ჩატარება, პუბლიკაციების გამოქვეყნება;

3. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატი, სტუდენტების აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით, შეარჩევს კანდიდატებს და საჭიროების შემთხვევაში სთხოვს მათ, წარმოადგინონ შემოქმედებითი აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; კანდიდატების სია განსახილველად გადაეცემა შესაბამის მიმართულებებს, რომლებიც განიხილავენ წარმოდგენილ კანდიდატებს და წარადგენენ მათ ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად. ერთიანი რეესტრის მოსამზადებლად, სახელობითი სტიპენდიანტების დამტკიცებული სია ეგზავნება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სახელმწიფო სტიპენდია - ეძლევა მუსიკის თეორიის, მუსიკის ისტორიის, ქართული ხალხური მუსიკის, შემოქმედებისა და საეკლესიო მუსიკის მიმართულებებიდან ერთ სტუდენტს. დიმიტრი ბალანჩივაძის სახელობის სახელმწიფო სტიპენდია - ეძლევა კომპოზიციის მიმართულებაზე ერთ სტუდენტს. ერთი სახელობითი სტიპენდია ორ და მეტ სტუდენტზე არ გაიყოფა.

4. წინამდებარე მუხლით დადგენილი სახელობითი სახელმწიფო სტიპენდიების გაცემის წესი საშემსრულებლო ფაკულტეტზე, ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პირობებში, პანდემიური საფრთხის ამოწურვამდე, მოქმედებს შემდეგი ცვლილებების გათვალისწინებით:

ა)ძირითად სპეციალობაში ერთნაირი ქულის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სპეციალობის ბლოკის სარეიტინგო გამოთვლილ ქულას.

ბ)თუ აპლიკანტებს სპეციალობის ბლოკში დაგროვილი ქულები ერთნაირი ექნებათ მაშინ უპირატესობა ენიჭება თეორიულ ბლოკში დაგროვილ სარეიტინგო ქულას.

გ)საშემსრულებლო ფაკულტეტზე სახელობითი სტიპენდიები ნაწილდება მიმართულებების მიხედვით,თითო სტიპენდია-ერთ სტუდენტზე. გამონაკლის შემთხვევაში სახელობითი სტიპენდია შეიძლება გაიყოს ორად.

მუხლი 9. სარეიტინგო სახელმწიფო სტიპენდიების გაცემის წესი

1. სარეიტინგო სახელმწიფო სტიპენდიების გასაცემად კონსერვატორიის ბიუჯეტში ამ მიზნით გათვალისწინებული თანხა ნაწილდება როგორც სემესტრებსა და საგანმანათლებლო საფეხურებზე (ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო საფეხურები) ასევე, ფაკულტეტებს შორის, კერძოდ:

ა) შესაბამის სემესტრში სარეიტინგო სახელმწიფო სტიპენდიებისათვის გამოყოფილი თანხიდან თავდაპირველად გაიცემა საუკეთესო სტუდენტის სტიპენდია კონსერვატორიის იმ საუკეთესო სტუდენტზე, რომელსაც შესაბამის სპეციალობებზე აქვს ყველაზე მაღალი აკადემიური მოსწრების რეიტინგი (6 სტუდენტი საშემსრულებლო ფაკულტეტზე - თითო სტუდენტი თითო სპეციალობაზე და 1 სტუდენტი საბაკალავრო პროგრამაზე „ჯაზის ხელოვნება"; ასევე 3 სტუდენტი კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე - 1 სტუდენტი კომპოზიციის მიმართულებაზე, 1 სტუდენტი მუსიკის თეორიის, მუსიკის ისტორიის, ქართული ხალხური მუსიკის შემოქმედების, საეკლესიო მუსიკის მიმართულებებზე და 1 სტუდენტი საბაკალავრო პროგრამაზე ,,მუსიკა და დღევანდელობა");

ბ) შესაბამის სემესტრში სარეიტინგო სახელმწიფო სტიპენდიებისათვის გამოყოფილი თანხა (წინამდებარე პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტიპენდიების გასაცემად საჭირო თანხის გამოკლებით) ნაწილდება აქტიური სტუდენტების რაოდენობის პროპორციულად ფაკულტეტებს შორის.

გ) საგანმანათლებლო საფეხურებისათვის გამოყოფილი თანხა ნაწილდება აქტიური სტუდენტების რაოდენობის პროპორციულად, საგანმანათლებლო საფეხურებს შორის;

2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან კონსრევატორიის სტუდენტებზე სახელმწიფო სტიპენდიების გასაცემად გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილებას ახორციელებს კონსერვატორიის ბუღალტერია სასწავლო დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი მონაცემების შესაბამისად.

3. თუ არ არის საკმარისი თანხა, რომ ბოლო საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტზე სრულად გაიცეს სარეიტინგო სტიპენდიის შესაბამისი მოცულობა, მასზე გაიცემა არასრული სტიპენდია.

4. თუ სტუდენტებს შორის ბოლო საუკეთესო შედეგის მქონე პირი არის ორი ან მეტი და არ არის საკმარისი თანხა, რომ მათზე სრულად გაიცეს სარეიტინგო სტიპენდიის შესაბამისი მოცულობა, მაშინ ამ მიზნით გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი თანხა თანაბრად ნაწილდება ბოლო საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტებზე.

მუხლი 10. იურიდიული (მ. შ. ფონდები) ან ფიზიკური პირებისაგან სტიპენდიების გაცემის წესი

სტიპენდიები იურიდიული (მ. შ. ფონდები) ან ფიზიკური პირებისაგან მიზნობრივი სტიპენდიებია და კონსერვატორიის მეშვეობით ხორციელდება იურიდიული (მ. შ. ფონდები) ან ფიზიკური პირის მიერ მისთვის სასურველი სტუდენტის წახალისება. ამასთან, სტიპენდია მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 11. კონსერვატორიის საკუთარი შემოსავლებიდან სტიპენდიების გაცემის წესი

სტიპენდიები კონსერვატორიის საკუთარი შემოსავლებიდან გაიცემა კონსერვატორიის სამაგისტრო ან საბაკალავრო პროგრამების მისაღებ გამოცდებზე, როგორც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდებზე ასევე შესაბამის კონკურსზე (შემოქმედებითი ტური) მიღებული შედეგის შესაბამისად, კონსერვატორიის მიერგამოყოფილ უფასო ადგილებზე ჩარიცხულ სტუდენტებზე. კერძოდ, ერთიანი ეროვნული ან საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის შედეგად მიღებული დაფინანსების % მაჩვენებლისა და სტიპენდიის მაქსიმალური მოცულობის ნამრავლის შესაბამისი კონკურსის შედეგის % მაჩვენებელზე ნამრავლით. ამასთან, სტიპენდია მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 11[1]. „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიების გაცემის წესი

1. „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიანტები შეიძლება გახდნენ სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საბაკალავრო საფეხურზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული, აქტიური სტატუსის მქონე, საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები.

2. აკადემიური მოსწრების მიხედვით თანაბარი შედეგების მქონე სტუდენტების გამოვლენის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სტუდენტს, რომელსაც, აქვს უკეთესი შედეგები გასულ სემესტრში შემოქმედებითი აქტივობებისმიხედვით.

ქულა	აქტივობა

კონკურსები და მასტერკლასები	
4	საერთაშორისო კონკურსში საპრიზო ადგილის მოპოვება (აუცილებელია მიღებული სერთიფიკატის დედნის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)
2	საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობა (აუცილებელია მიღებული სერთიფიკატის დედნის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)
2	საერთაშორისო მასტერკლასებში მონაწილეობა (აუცილებელია მიღებული სერთიფიკატის დედნის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)
2	ეროვნული მასშტაბის კონკურსში საპრიზო ადგილის მოპოვება (აუცილებელია მიღებული სერთიფიკატის დედნის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)
1	ეროვნული მასშტაბის კონკურსში მონაწილეობა (აუცილებელია მიღებული სერთიფიკატის დედნის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)
კონცერტები და ფესტივალები	
3	სოლო კონცერტის ჩატარება საზღვარგარეთ (აუცილებელია აფიშის ან პროგრამის დედნის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)

2	სოლო კონცერტის ჩატარება საქართველოში (აუცილებელია აფიშის ან პროგრამის დედნის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)
2	საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა სოლისტის ამპლუაში (აუცილებელია აფიშის ან პროგრამის დედნის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)
1	ეროვნული მასშტაბის ფესტივალში მონაწილეობა (აუცილებელია აფიშის ან პროგრამის დედნის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)
2	ორკესტრთან ერთად სოლისტად შესრულება (აუცილებელია აფიშის ან პროგრამის დედნის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)
1	კონსერვატორიის მცირე დარბაზში საფაკულტეტო/ მიმართულების/ ღია აკადემიურ/ კლასის კონცერტში მონაწილეობა (აუცილებელია აფიშის ან/და პროგრამის დედნის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)
2	სპექტაკლებში წამყვანი პარტიების შესრულება (აუცილებელია აფიშის ან/და პროგრამის დედნის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)
პროექტები, კონფერენციები, პუბლიკაციები	
4	საერთაშორისო მუსიკალურ ფორუმებში/კონფერენციებში მონაწილეობა/ მოხსენების წარდგენა (აუცილებელია აფიშის ან/და პროგრამის დედნის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)
3	ეროვნული მასშტაბის მუსიკალურ ფორუმებში/კონფერენციებში მონაწილეობა (აუცილებელია აფიშის ან/და პროგრამის დედნის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)

4	საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში გამარჯვება (აუცილებელია მიღებული სერთიფიკატის დედანის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)
3	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვება (აუცილებელია პროგრამის ან/და მიღებული სერთიფიკატის დედნის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)
2	ქართულ სამეცნიერო გამოცემებში პუბლიკაციების გამოქვეყნება (ელექტრონულ გამოცემებში პუბლიკაციის გამოქვეყნების შემთხვევაში აუცილებელია პუბლიკაციის წარმოდგენა ბმულის მითითებით; ბეჭდურ გამოცემებში პუბლიკაციის გამოქვეყნების შემთხვევაში აუცილებელია თავფურცელისა და სარჩევის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)
3	უცხოურ სამეცნიერო გამოცემებში პუბლიკაციების გამოქვეყნება (ელექტრონულ გამოცემებში პუბლიკაციის გამოქვეყნების შემთხვევაში აუცილებელია პუბლიკაციის წარმოდგენა ბმულის მითითებით; ბეჭდურ გამოცემებში პუბლიკაციის გამოქვეყნების შემთხვევაში აუცილებელია თავფურცელისა და სარჩევის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)
4	ქართულ რეცენზირებად/რეფერირებად პერიოდულ სამეცნიერო გამოცემებში პუბლიკაციების გამოქვეყნება (ელექტრონულ გამოცემებში პუბლიკაციის გამოქვეყნების შემთხვევაში აუცილებელია პუბლიკაციის წარმოდგენა ბმულის მითითებით; ბეჭდურ გამოცემებში პუბლიკაციის გამოქვეყნების შემთხვევაში აუცილებელია თავფურცელისა და სარჩევის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)

4	უცხოურ ბეჭდურ, ან ელექტრონულ რეცენზირებად/რეფერირებად პერიოდულ სამეცნიერო გამოცემებში პუბლიკაციების გამოქვეყნება (ელექტრონულ გამოცემებში პუბლიკაციის გამოქვეყნების შემთხვევაში აუცილებელია პუბლიკაციის წარმოდგენა ბმულის მითითებით; ბეჭდურ გამოცემებში პუბლიკაციის გამოქვეყნების შემთხვევაში აუცილებელია თავფურცელისა და სარჩევის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)
3	საერთაშორისო კონკურსის/ ფესტივალის/ ვორკშოპის/ ფორუმის/ კონფერენციის ორგანიზება (აუცილებელია ღონისძიების აფიშის ან/და პროგრამის დედნის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)
3	ეროვნული მასშტაბის კონკურსის/ ფესტივალის/ ვორკშოპის/ ფორუმის/ კონფერენციის ორგანიზება (აუცილებელია ღონისძიების აფიშის ან/და პროგრამის დედნის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)
4	საერთაშორისო პროექტში კონცერტის გახმოვანება
3	ადგილობრივ პროექტში კონცერტის გახმოვანება
1	ვორქშოპების, მასტერკლასების, ლექციების გახმოვანება
1	სტუდენტი შემსრულებლებისთვის აუდიო/ვიდეო ჩანაწერის გაკეთება
3	გადაცემის წაყვანა (სხვის გადაცემაში) (აუცილებელია გადაცემის ჩანაწერის ბმულის წარმოდგენა)
4	გადაცემის ავტორობა წამყვანობა (აუცილებელია გადაცემის ჩანაწერის ბმულის წარმოდგენა)

1	გადაცემის ორგანიზებაში დახმარების გაწევა (აუცილებელია დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა)
1	რეცენზიის გამოქვეყნება საჯარო პლატფორმაზე (აუცილებელია ბმულის ან დედნის დასკანერებული ვერსიის წარმოდგენა)
3	ფილმის , სპექტაკლის გაფორმება

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შედეგად აკადემიური მოსწრების მიხედვით თანაბარი შედეგების მქონე სტუდენტების გამოვლენის შემთხვევაში, და თუ იმავდროულად, ორივე მათგანს აქვს თანაბარი შედეგები შემოქმედებითი აქტივობების მიხედვით (მათ შორის, გასული სემესტრის მანძილზე შემოქმედებითი აქტივობების არქონის შემთხვევაში), უპირატესობა ენიჭება სტუდენტს, რომელსაც, გასული სემესტრის მონაცემებით, აქვს უკეთესი შედეგები მისი საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ სპეციალური სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკში შემავალ სასწავლო კურსებში.

4. ამ მუხლი მე-2 პუნქტის მოქმედება შეჩერებულია ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პირობებში. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში სტიპენდიანტების გამოვლენა ხორციელდება ამ მუხლის 1-ლი და საჭიროების შემთხვევაში - მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული წესით სტიპენდიით დაფინანსების უფლების მქონე პირთა განსაზღვრა ხორციელდება ყოველი სემესტრის დასაწყისში.

6. სტიპენდიის მფლობელი სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში სტიპენდიის გაცემა წყდება და კონსერვატორია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება გაუცემელი თანხის სტიპენდიის სახით სხვა იმ სტუდენტისათვის დანიშვნის შესახებ, რომელსაც აქვს უკეთესი შედეგები ამავე მუხლით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

თავი IV. სტიპენდიების დაფინანსების წყარო

მუხლი 12. სტიპენდიების დაფინანსების წყარო

1. სახელმწიფო სტიპენდია გაიცემა „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს შესაბამისი წლის კანონით „ხელოვნების განვითარების პროგრამის ფარგლებში“ ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნებებიდან.

2. იურიდიული (მ.შ. ფონდები) ან ფიზიკური პირებისაგან სტიპენდიების გასაცემად თანხას კონსერვატორიის საბაკნო ანგარიშზე რიცხავს შესაბამისი იურიდიული (მ.შ. ფონდები) ან ფიზიკური პირი.

3. სტიპენდიები კონსერვატორიის საკუთარი შემოსავლებიდან გაიცემა კონსერვატორიის არასაბიუჯეტო შემოსულობებიდან.

4. „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები გაიცემა შესაბამისი წლისთვის აღნიშნული პროგრამით (შესაბამისი ქვეპროგრამით) კონსერვატორიის სტუდენტებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

თავი V. დასკვნითი დებულებები

მუხლი 13. სტიპენდიების გაცემის დამატებითი პირობები

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს შესაბამისი წლის კანონით

„ხელოვნების განვითარების პროგრამის ფარგლებში“ სახელმწიფო სტიპენდიებისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან 60% მიიმართება ზამთრის სესიის შედეგად გამოვლენილი წარჩინებული სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიების გასაცემად, დარჩენილი 40% კი - ზაფხულის სესიის შედეგების გათვალისწინებით.

2. სახელმწიფო სტიპენდიების გასაცემად შესაბამისი სემესტრისათვის გამოყოფილი თანხიდან პირველ რიგში გაიცემა სახელობითი სახელმწიფო სტიპენდიები, ხოლო დანარჩენი თანხა ნაწილდება რეიტინგული სახელმწიფო სტიპენდიების გასაცემად წინამდებარე წესის მე-9 მუხლის შესაბამისად.

3. ყოველი წლის იანვრის თვის სახელმწიფო სტიპენდიები გაიცემა წინა წლის ზაფხულის სესიის შედეგად გაცემული ოქტომბერი-დეკემბერი თვეების სახელმწიფო სტიპენდიების იდენტურად, ხოლო საანგარიშო წლის ოქტომბერი-დეკემბერი თვეებში გასაცემი სახელმწიფო სტიპენდიების საერთო მოცულობა გაანგარიშდება საანგარიშო წელს სახელმწიფო სტიპენდიებისათვის გამოყოფილი საერთო თანხის 40%-ს გამოკლებული იანვრის თვეში გაცემული სახელმწიფო სტიპენდიების საერთო მოცულობა და დარჩენილი თანხა გადანაწილებული საორიენტაციო 4 თვეზე.

4. თუ შესაბამის სემესტრში თითოეულ სპეციალობაზე აკადემიური მოსწრების საუკეთესო რეიტინგი ერთი და იგივე მოცულობით გააჩნიათ რამოდენიმე სტუდენტს, მაშინ საუკეთესო სტუდენტის სტიპენდიას მიიღებს ყველა აკადემიური მოსწრების საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტი, ხოლო თუ აღნიშნულის გასაცემად ამ მიზნით გამოყოფილი თანხა საკმარისი არ არის მაშინ არსებული რესურსი თანაბრად ნაწილდება ყველა სპეციალობის აკადემიური მოსწრების საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებზე.

5. თუ კონკრეტული ფაკულტეტის კონკრეტული საგანმანათლებლო საფეხურის წარჩინებულ სტუდენტთა რაოდენობის სახელმწიფო სტიპენდიით დასაკმაყოფილებელი თანხა ნაკლებია ამ მიზნით გამოყოფილ თანხაზე, მაშინ ნარჩენი თანხა მიიმართება ამავე ფაკულტეტის მეორე საგანმანათლებლო საფეხურის სახელმწიფო სტიპენდიანტების დასაფინანსებლად, ხოლო თუ კონკრეტული ფაკულტეტის ყველა საგანმანათლებლო საფეხურის წარჩინებულ სტუდენტთა რაოდენობის სახელმწიფო სტიპენდიით დასაკმაყოფილებელი თანხა ნაკლებია ამ ფაკულტეტისათვის ამ მიზნით გამოყოფილ თანხაზე, მაშინ ნარჩენი თანხა მიიმართება მეორე ფაკულტეტის სახელმწიფო სტიპენდიანტების დასაფინანსებლად.

6. დაუშვებელია ერთ სტუდენტზე რამოდენიმე სახის სტიპენდიის გაცემა. იმ შემთხვევაში თუ კონსერვატორიის სტუდენტი მოიპოვებს ერთზე მეტი სტიპენდიის მიღების უფლებას მაშინ მასზე გაიცემა მხოლოდ ის სტიპენდია რომელის შემთხვევაშიც ხელზე მისაღები თანხაც მეტია. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება იურიდიული (მ.შ. ფონდები) ან ფიზიკური პირების, ასევე, კონსერვატორიის საკუთარი შემოსავლებიდან გასაცემ სტიპენდიებზე.

7. სტიპენდიები არ გაიცემა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურის პირველი კურსის პირველი სემესტრის სტუდენტებზე. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება როგორც იურიდიული (მ.შ. ფონდები) ან ფიზიკური პირების, აგრეთვე კონსერვატორიის საკუთარი შემოსავლებიდან გასაცემ სტიპენდიაზე.

8. სტიპენდიების გაცემა შესაძლებელია მხოლოდ კონსერვატორიის აქტიურ სტუდენტებზე,

რომელთაც არ გააჩნიათ საგნობრივი დავალიანება.

9. სტიპენდია გაიცემა 10 თვის განმავლობაში თვეების მიხედვით, შესაბამისი სესიის შედეგების შესაბამისად.

10. ზამთრის სესიის აკადემიური მოსწრების შედეგად მისაღები სახელმწიფო სტიპენდიების გაცემა იწყება თებერვლის თვიდან და გრძელდება ივნისის ჩათვლით, ხოლო ზაფხულის სესიის აკადემიური მოსწრების შედეგად მისაღები სახელმწიფო სტიპენდიების გაცემა იწყება სექტემბრის თვიდან და გრძელდება იანვრის ჩათვლით, შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

11. სტიპენდიების გაცემა არ ხორციელდება დამატებითი სემესტრის სტუდენტებზე. აღნიშნული არ ვრცელდება იურიდიული (მ.შ. ფონდები) და ფიზიკური პირების სტიპენდიებზე.

12. კონსერვატორიის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს, რომლებიც სარგებლობენ გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამებით, უცხოეთში სწავლის პერიოდში არ ეძლევათ კონსერვატორიაში მოქმედი შემდეგი სტიპენდიები:

1. სახელობითი სახელმწიფო სტიპენდიები - 180 ლარის ოდენობით;

2. სარეიტინგო სახელმწიფო სტიპენდია - 80, 60 ან 50 ლარის ოდენობით;

3. სტიპენდიები იურიდიული (მ. შ. ფონდები) და ფიზიკური პირებისაგან;

4. „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში გასაცემი სტიპენდიები - 150 ლარის ოდენობით.

13. კონსერვატორიის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებზე, რომლებიც სარგებლობდნენ გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამებით და საქართველოში დაბრუნების შემდგომ სწავლა განაგრძეს სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სტიპენდიები გაიცემა წინა სემესტრში (გაცვლითი პროგრამებით სარგებლობის პერიოდში) აკადემიური მოსწრების რეიტინგის შესაბამისად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა წარმოადგინა სასწავლო ხელშეკრულებით (LA) გათვალისწინებული საგნების ქულობრივი შეფასების შესაბამისი დოკუმენტი.

14. სტიპენდია არ გაიცემა მობილობით გადმოსულ სტუდენტებზე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური მოსწრების რეიტინგების საფუძველზე. აღნიშნულ სტუდენტებს სტიპენდიის მიღების უფლება უჩნდებათ საანგარიშო სემესტრის მომდევნო სემესტრში, საანგარიშო სემესტრის აკადემიური მოსწრების რეიტინგების საფუძველზე.

15. სტუდენტის აკადემიური შვებულებიდან დაბრუნების და სტუდენტის აქტიური სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სტიპენდიები გაიცემა აკადემიურ შვებულებაში გასვლამდე არსებული სასწავლო სემესტრის რეიტინგის შესაბამისად.

ბაკალავრიატის საფეხურზე ორ წელზე მეტი, ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე ერთ წელზე მეტი პერიოდით სტუდენტის მიერ აკადემიური შვებულებით სარგებლობის შემთხვევაში, აკადემიური შვებულებიდან დაბრუნებულ სტუდენტებზე სტიპენდიები არ გაიცემა.

16. სახელობითი სახელმწიფო სიტპენდიის მიღებისათვის სტიპენდიის მიღების მსურველმა სტუდენტებმა სტიპენდიის მიღების კანდიდატის რეგისტრაცია, ყოველი სემესტრისათვის, უნდა გაიარონ შესაბამის ფაკულტეტზე, მხოლოდ აღნიშნული რეგისტრაციის შემდგომ უჩნდებათ მათ უფლება მიიღონ სახელობითი სახელმწიფო სტიპენდია.

17. სტიპენდიების გაცემის საფუძველია ყოველი სემესტრის დასაწყისში რექტორის მიერ დამტკიცებული, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგენილი, სტიპენდიანტთა სიები.

მუხლი 14. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე წესი ამოქმედდეს 2013 წლის 1 თებერვლიდან.
2. კონსერვატორია უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები სტიპენდიის წესში;
3. კონსერვატორია ვალდებულია ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე;
4. სტიპენდიის წესის რომელიმე დებულების ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა გავლენას არ ახდენს ამ წესის სხვა მუხლების იურიდიულ ძალაზე.